

# ლელო

№ 12 18  
(4006)

1970 წ.

იანვარი.  
33ირა.  
ზასი 8 კაპ.

სამ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის  
1934 წლის  
18 პერიოდში

## გ რ ე უ ი ნ ვ ე ა ლ ე ს ე კ ვ ე ყ ი ნ უ ლ ზ ე

**30030, 18 იანვარი.** ადგილობრივ სპორტის სასახლეს ამ დღეებში მყარდება არ აქვია. ეს გასაკვირებელია: ყინულზე ხომ საბჭოთა კავშირის უძლიერესი ფიგურისტები ასპარეზობენ ოქროსა და სხვა მედლების მოსახვედრად!  
განსაკუთრებით დიდძალი ხალხი დაესწრო ჩემპიონატს გუშინ, როცა წყვილები ცეკვებში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. როგორც მოსალოდნელი იყო, სხვებზე ერთი თავით მაღლა იდგნენ სხვებზე. განთქმული მოსკოველები, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზორები ლ. პახომოვა და ა. გორსკოვი. მათი ნებისმიერი პროგრამა მართლაც ზღაპრული იყო. შესრულების დონე კი უზადო. ჭოგველივე ამან სათანადო გამოსახულება

ბა კპოვა მსახურა შეფასებებში: 5,9 და 6 ქულა — აი, ხიმები, რომლებიცაც საცხებით ღირსეულად შეფასდა ამ საუცხოო დღეების გამოსვლა. საბოლოოდ, ლ. პახომოვამ და ა. გორსკოვმა 404 ქულა მოაგროვეს და ქვეყნის ჩემპიონთა წოდება შეინარჩუნეს.  
II და III ადგილებზეც მოსკოველები გავიდნენ: ვერცხლის მედლები მოიხვედეს ტ. ვოიტიუკა და გ. შიგალინა (376,8 ქულა), ბრინჯაოსი — ე. ქარკოვამ და გ. კარბანოსოვმა (374,6).  
დღეს გაიმართა შეჯიბრება ქალთა ნებისმიერ ციკლურაობაში. სსრ კავშირის მრავალჯერ ჩემპიონი, მოსკოველი ე. შჩეგლოვა ძალზე უფერულად გამოვიდა, ზოგიერთი ელემენტის დაუხვეწავად შეასრულა და ოქროს მედალი ლენინგრადელ ე. ალექსანდროვს გადაულოცა.

## ი ნ დ თ ე თ უ ი ... თ ბ ი ლ ი ს უ რ ი ფ ი ნ ა ლ ი

**კალაქუბა, 17 იანვარი.** ინდოეთის აქ მიმდინარე ღია ჩემპიონატის ფინალში გავიდა სსრ კავშირის ჩემპიონი, თბილისელი ჩოგბურთელი ა. მებრეველი, რომელმაც ნახევარფინალში ინდოელი ბ. სინგხი დაამარცხა — 6:2, 6:4, 10:8. ფინალში მებრეველს ამ ქვეყნის პირველი ჩოგანი პ. ლალი შეხვდებოდა.

ქალთა ფინალი მთლიანად თბილისური იქნება: ერთმანეთს პირისპირ დადგებიან ა. ივანოვა და ნ. თუხარელი.


## ს ს კ რ ი ს ს კ რ ი ს

**ნიურნაბერგი, 15 იანვარი.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამ ქალაქში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი: ადგილობრივი ხელბურთელი ქალების გუნდს დაძაბული ბრძოლის შემდეგ სძლია დანიის ჩემპიონმა — „ჰე კონეზაგენმა“ — 11:10 (6:5). დანიელებმა თავიანთ მინდორზე გამართული პირველი მატჩიც მოიგეს (17:6) და ახლა ნახევარფინალურ შეხვედრებს ჩაატარებენ.

**სოვოსნიბირსკი, 15 იანვარი.** ადგილობრივმა მთამხველებმა ა. მარდუევიმა (ხელმძღვანელი), მ. ბელიაევი, ი. მალოროდოვმა, ლ. შმაცოვამ და ი. შალმა პამირის მთიანეთში თურქესტანის ქედის ერთ-ერთი უსახელო მწვერვლი (5060 მ) დაიპყრეს და მას „კომსომოლსკი“ უწოდეს. სულ ამ ჭაუფმა 28 პირველხელა განახორციელა.

### რეკორდები

- ალმა-ათა, 17 იანვარი.** მედეუს მაღალმთიან საციფურაოზე დღეს დაწყებული ქალთა საკავშირო ჩემპიონატი მსოფლიო რეკორდებით აღინიშნა. 500 მეტრზე რბენაში ჩელიაბინსკელმა ტ. სიდოროვამ 0,07 წამით გააუმჯობესა 9 იანვარს აქ დამყარებული თავისივე მსოფლიო მიღწევა (48,29 წამი). ამ წარმატებამ მას, ცხადია, ოქროს მედალი მოუტანა სპრიტში. მეორე დისტანცია (1500 მ) — მეორე მსოფლიო რეკორდი მისი ავტორია ლენინგრადელი ნ. სტატკევიჩი, რომლის დრო — 2.17,82. პოლანდიელი ა. სხუტის ძველ მიღწევას 0,68 წამით, ხოლო ი. არტამონოვს საკავშირო რეკორდს (1962 წ.) — 1,18 წამით სჯობს. სტატკევიჩმა ოქროს მოიხვეჭა და ქულათა საუცხოო ქაში (89,280) პირველი დღის შემდეგ ლიდერობაც იგდო ხელთ (500 მ — 43,82).



**კამბოჯა.** პიროვნების რბოლა პნომპენში, მდინარე მეკონგზე საწყლოსნო დღესასწაულის დროს. ფოტო ჩტკ—საკედისისა.

### 2045

- პაპანა, 17 იანვარი.** კუბის მძლეოსანთა აქ მიმდინარე ჩემპიონატში მ. კობიანმა ერთვანული რეკორდი (11,3) გაიმეორა 100 მეტრზე რბენაში. ვაჟთა შორის ამ მანძილზე საუკეთესო იყო ე. რამირესი — 10,1. 400 მეტრზე თარგბენში გაიმარჯვა ხ. ვარსიაშვილი — 51,7.
- მსტარსენდი, 17 იანვარი.** ბი-ატლონისტა მსოფლიო ჩემპიონატში უკვე 16 ქვეყნის სპორტსმენებმა განაცხადეს მონაწილეობის სურვილი: კუბის ამ ქალაქში 19-22 თებერვლის ქანადის, ინგლისის, ფინეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, ნორვეგიის, პოლონეთის, რუმინეთის, შვეიცარიის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, აშშ-ს, გერმანიის, ფინეთისა და შვედეთის წარმომადგენლები იასპარეზებენ. შაკობანეს (პოლონეთი) შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატი იმ დროისთვის მონაწილეთა რიცხვის (14) მხრივ სარეკორდო იყო.
- პიპინ-ან-ჰამ, 17 იანვარი.** პოლონეთის ამ პატარა ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტრადიციულ საჭადრაკო ტურნირში 4 ტურის შემდეგ ლიდერობს იუგოსლავიელი დიდოსტატი ბ. ივკოვი — 3,5 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ლენინგრადელი დიდოსტატი მ. ტაიშანოვი.



## ფ ა ლ ა ვ ა ნ თ ა    ფ ა ლ ა ვ ა ნ ი

ქართულ კიდაობაში შარშანდელი სეზონის ბოლო ასპარეზობა რესპუბლიკის ამსოლუტური პირველობა იყო, რომელიც თელავში ჩატარდა. შეჯიბრებას გაურკვეველი მიზნით თავი აარილეს საქართველოს ამსოლუტურმა ჩემპიონმა, ასმეტელმა ბ. ბაღაყაშვილმა და სხვა ფალავნებმა. და აი, თელავს სულ ექვსი თბილისელი და ერთი ცხინვალიელი (ლ. გასიევი) ათლეტი ეწვია. თვით შეჯიბრების მასპინძელი ქალაქი მხოლოდ ორი, საშუალო კლასის მოჭრიდვით იყო წარმოდგენილი. გაკვირვებას იწვევს ერთი გარემოება: თუ საქმიად მხოლოდ დღეაქალაქის წარმომადგენლები გამოვიდოდნენ, რაღა საჭირო იყო შეჯიბრების თელავში ჩატარება? სად იყვნენ ახმეტის, გორის, კასპისა და საგარეოს მოჭიდავეები?!

შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა. ამაზე ერთგვარად გასარდა ინტერესი, პირველი წრე დაუპირისპირდა განვლეს თბილისელებმა გ. კახაბრიშვილმა, შ. გულიაშვილმა, ო. შაშვიამვილმა და ნ. ზაზუნშივილმა. მეორე წრეში გულიაშვილმა წმინდად მოუგო ზაზუნშივილს. გასიევა აჯობა თ. წითელაურს (თელავი), ს. ნიჟარაძემ (თბილისი) — ი. ელოშვილს (თელავი), ხოლო ა. ელიბაშვილმა (თბილისი) ერთ წუთში ლამაზი ფანდით ბეჭეზე დასვა კახაბრიშვილი. ეს გასლდათ ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია.

მესამე წრეში გასიევი შაშვიამვილთან ბრძოლას გაურბოდა, მაგრამ მსაჯებმა რატომღაც ორივე მონაწილეს წაგება ჩაუთვალეს. კახაბრიშვილი მარცხის შემდეგ საკრძოლად გააქტიურდა. მან ლამაზი, გაბედული ილეთებით დაამარცხა ელოშვილი და ზაზუნშივილი. შაშვიამვილმა, თავის მხრივ, სძლია ელიბაშვილსა და გულიაშვილს, ხოლო გასიევი — ნიჟარაძესა და ელოშვილს. შემდგომში ბრძოლები ერთობ გაუფერულდა და მყარდება ინტერესი დაკარგეს ასპარეზობისადმი. ბოლოს 5 საჯარო მოქალაქე ქალთა საქართველოს ამსოლუტური ფალავანი გახდა გ. კახაბრიშვილი. II ადგილი დაიკავა გულიაშვილმა, III — ნიჟარაძემ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირად უზუსტოდ სჯიდნენ არბიტრები. ისინი ცდებოდნენ ამა თუ იმ ილეთის შეფასებაში და პასიურ ბრძოლას დაუსჯულად ტოვებდნენ. ჩვენი აზრით, მსაჯობის დაბალი დონე იმით აისხლება, რომ შარშან მსაჯთა არც ერთი სეზონი არ ჩატარებულა.

### ა. ფიცხელაური.

ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს ამსოლუტური ფალავანი გ. კახაბრიშვილი.

საიდუმლოებით მოცული შაჯიბმა

უარსაწმელი სეზონი ქართული მოფარკავებისთვის იღბლიანი იყო და უიღბლოც...

მოთვარია ის, რომ ავტორებს გული შეესტკეოთ ერთნაირ ფარკობაზე, მის მომავალზე...

აღვილი ლენინგრადის იუნიორთა ტურნირში და ი. სიხარულიძის ოქროს მედალი.

ლომა. წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ მუხღერე შეიბრება რატომღაც არ ჩატარებულა...

ბა, წამახალისებელი პრიზების გადაცემა (საუკეთესო ტექნიკისთვის, ტაქტიკისთვის და სხვ.)...



ავტორის ფოტო

მემაქალ ბავშვებსა და მოზარდებს შორის მასობრივი სპორტული მუშაობის ორგანიზაციის საკითხი განსაკუთრებით ხანგრძლივი და მწვავე კამათის საგნად იქცა...

ველშინრიც სწორი პასუხის გააცემა, რა თქმა უნდა, ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ სწორედ ახლაა საჭირო აზრთა გაშლვა-გამოცემა...

მიწვევით მწვერილად საბჭოს შერიგება და დამატებითი სასწავლო მასალის, დანებარება მისწავლეთა შერიგებაში...

დენი მოზარდთა III თანრიგის ნორმატივის; შეესაბამება ასევე რეკლამულად ჩატარდებოდა მეთხვედელსავე...

დარჩება პაერში დაიგდებოდა, როგორც დღემდე ხდება. ამრიგად, ცენტრალური საბავშვო ტანვარჯიშული სპორტსკოლის წინაშე...

დ რ ო კ რ ი თ ჯ ა ნ ს!

შუღ საბავშვო სპორტსკოლის საამი-სოდ უფრო დიდი გამოცდილება აქვს და შეუძლია სპეციალისტთა კადრებიც შედარებით უკეთესად გამოიყენოს.


მთლიანად მუშაობაც, აღბათ, უფრო რაციონალურად ორგანიზებული იქნება უკვე არსებული გამოცდილების საფუძველზე.

შეიბრებებში მონაწილეობის მისაღებად. ვფიქრობთ, შედეგით არ იქნება მოკლედ მაინც გამოთქვით აზრი საერთოდ იმის შესახებაც, თუ რა დროთა განმავლობაში კეთდებოდა რაიონებში. ჩვენ შეგისწავლეთ ამ მიზნით...

ჩვენს ცენტრალურ სპორტსკოლის, ან მისი ფილიალის (ლენინის რაიონში) დაბავშვო ტანვარჯიშული და სპორტული კლუბების მიხედვით, რა თქმა უნდა, შესაძლოა ჯგუფების რაოდენობის გაზრდაც და შეიბრებაც.

რაიონებში გახსნილი ტანვარჯიშული ჯგუფების სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა შეამოწმოს: სარაიონთაშორის შერეობებში — სასწავლო წლის დამლევის, საბავშვო სპორტსკოლებისთვის შემუშავებული ნორმატივების ათვისების მიხედვით — თვით სკოლაში ყოველი მეთოთხედის დამლევის, დამკარონი გაგმირი იმ ზოგადსაგანო მანათლებლო სკოლებთან, რომლებშიც გახსნილი ექნება ტანვარჯიშული ჯგუფები და ხელი შეუწყონ მათ კონსულტაციებით, ფინანსური პროგრამით გათვალისწინებული ტანვარჯიშული მასალის ხარისხობრივად გაყვანა და კლასიკური მუშაობის მიწყობა-ჩატარებაში;





სსრ კავშირის XX XVII ჩემპიონატი

გამტყობინება და თავგანწირვა

თბილისი. სპორტის სასახლე. 16 იანვარი. „დინამო“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი) 01:86 (48:41). „დინამო“ უგრძობელი (81), ქორკია (22), მალაშვილი (14), ბოლქვაძე (9), ნარიანიძე (8), ფიცხელაური (5), ჩიხლაძე (2).

გამარჯვების სურვილმა მეტოქეებს დააეციწა თამაშის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორცა დაეცა: ორივე გუნდის წარმომადგენლები დაუმრტოლებლად შედიოდნენ ფარჯევს, ასევე დაუმრტოლებლად ესროდნენ და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ერთმანეთს მხოლოდ ტყორცნაში ეჯიბრებინათ.

თავდაპირველად ერთგვარი უპირატესობა „ბურევესტნიკის“ მხარეზე იყო. მერე „დინამომ“ მდგომარეობა გამოსწორა: იგი ჯერ დაეწია მეტოქეს, შემდეგ დაწინაურდა კიდევ. ამ პერიოდში უმაღლესი სწრაფი ოსტატობა გამოამჟღავნა უგრძობელიც. საშუალო მანძილებიდან თუ მო-

რიდან მისი ყოველი ნახროლი, როგორც წესი, მიზანს აღწევდა. უგრძობელიც პირველ ტიპში თავის კოლექტივს 21 ქულა შესძინა. ამგვარი პროდუქციულობა დინამოელთა გუნდში კარგა ხანია არ გვინახავს. „დინამომ“ შესვენების შემდეგაც ლიდერობდა, მაგრამ ერთ მომენტში „ბურევესტნიკმა“ ძალიან დიდი თავგანწირვის ფასად (ვიმოქრებ, მხოლოდ თავგანწირვის წყალობით, ვინაიდან ამ

დღეს მან თავის შესაძლებლობაზე სუსტად ითამაშა) ხელთ იგდო ინიციატივა. შოგს ეს გარდატეხის მაუწყებელ ნიშნად ეჩვენა, მაგრამ გამოცდილობა დინამოელებმა (ამ დღეს მათ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდათ) შეძლეს თამაშის გათანაბრება, მატჩის ბოლო წუთებში კი მათი უპირატესობა უკვე ცხადი იყო.

5. ახვლედიანი.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 იანვრისთვის

Table with columns for team name, games played (თ.), wins (გ.), draws (წ.), losses (წ.), and points (ქ.). Lists teams like Dinamo, Spartak, and others.

ი. სპინელიძე



ამ უმძიმესმა დანაკლისმა ყველას დაწყვიტა გული. ძნელა დაიჭირო, რომ ჩვენს შორის აღარ იქნება გულისხმიერი მეგობარი, უადრესად თავმდაბალი, საქმიანი და მოსიყვარულე ადამიანი იური დავითის ძე საგანდოდ: გარდაიცვალა იგი 35 წლის ასაკში, მამინ, როცა წინ ჰქონდა მთელი ცხოვრება.

თბილისის ვფთა მე-9 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იური საგანდოდ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიდა, რომელიც 1959 წელს დაამთავრა. ახალგაზრდა სპეციალისტი იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო დაახლოებოდა ცხოვრებას, ერთ ხანს საწარმოში მუშაობდა, შემდეგ კი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მაქინათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრაზე — ჯერ ასისტენტად, მერე უფროს მასწავლებლად. მრავალმხრივ განვითარებული სპორტსმენი სასტენდო სროლას 16 წლის ასაკში დაუახლოვდა. 1952 წლიდან იგი საქართველოს მესტენდოუროს ნაკრები გუნდის წევრი გახდა. მისი უაღრესად მომთხროვნე სპორტსმენა სულ მალე მაღალი წარმატებებს ჯერ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, შემდეგ კი საკავშირო სარბიულზე.

იური საგანდოდ იყო საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონი და რეკორდსმენი. 1967 წელს სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპორტკონკურსში მან ჩემპიონის ოქროს მედალი დაიხსია. ამ და კიდევ ბევრი სხვა სპორტული მიღწევებისთვის მიენიჭა მას სპორტის საპატიო ოსტატის წოდება. მისი ცხოვრება ნათელი მაგალითი იყო სპორტისადმი უაღვარო სიყვარულისა და თავდადებისა. შესაშური ვატაცებით ეწეოდა იგი დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას: იყო სასტენდო სროლის რესპუბლიკური ფედერაციისა და საქართველოს მსახურა კოლეგიის წევრი. მონაკვეთის მსროლელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი, იგი გულითა და სულით ემსახურებოდა ახალგაზრდა თაობის აღზრდის დიდმნიშვნელოვან და კეთილშობილურ საქმეს თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლაში.

იური საგანდოდის სიცოცხლე მოულოდნელად შეწყდა, ამიტომაც ეს დანაკლისი ერთიორად გაულსატყენია.

სასტენდო სროლის რესპუბლიკური ფედერაციი.

ბ. ალშივაიანი.

ქალაქში რჩებიან სამუშაოდ

ამ ბოლო ხანს სშირად იწერება რესპუბლიკაში კრივის ჩამორჩენის მიზეზებზე. სპეციალისტებმა და მწვრთნელებმა ბევრი საქმიანი მოსაზრება გამოთქვეს, მაგრამ ეს მოსაზრებები ძირითადად რესპუბლიკის ქალაქებში კრივის მდგომარეობას შეეხებოდა. კრივით დაინტერესებული, კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდა კი რაიონებშიც ბევრია (განსაკუთრებით, მთიან რაიონებში), მაგრამ იქ სპორტის ამ სახეობას სათანადო გასაქანი არა აქვს. ბევრ რაიონში საბავშვო სპორტულ სკოლებ-

ში არ არის განხილვი კრივის წვეულები (თითო-ორთაა გამონაკლისის გარდა), თანაც, აქ იშვიათად მუშაობენ კრივის სპეციალისტები. საქართველოს ფიჭულტურის ინსტიტუტს კრივის სპეციალით ძალიან ცოტა ამთავრებს და ისინიც ქალაქში რჩებიან სამუშაოდ. საერთოდ, სპორტის არც ერთი სახეობა არ განვითარდება უშეჯიბრებოდ. გამოწვევის, ცხადია, არც კრივი წარმოადგენს, მაგრამ ამ სახეობაში ტურნირები ძალიან იშვიათად იმართება. რაიონების სპორტსმენები რესპუბლიკურ შე-

ჯიბრებებში თითქმის ვერ გამოდიან, რადგან ამ ტურნირებს წინ არ უსწრებს სხვა, უფრო პატარა მასშტაბის ღონისძიებები, სადაც ახალგაზრდობა გამოცდილებას შეიძენდა. ჩემი აზრით, საქითა ჩატარდეს შეჯიბრებები რაიონებს შორის, ზონალური ასპარეზობანი, აზნაგური შეჯიბრებები წელიწადში ორჯერ-სამჯერ მაინც. ვანათლების სამინისტრომ უნდა მოაწყოს ტურნირები იმ სპორტსკოლებს შორის, სადაც კრივის წვეულება განხილვი. ეს შეჯიბრებები უნდა ჩატარდეს სამეზობლო-

ზამთრისა და საგაზაფხულო არდადეგებზე. კრივის განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს, თუ რესპუბლიკის წამყვანი სპეციალისტები შემოივლიან რაიონებს, სადაც კრივის სექციები მუშაობენ, დაეხმარებინ მწვრთნელებს, გაუზიარებენ გამოცდილებას და კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდებს შეარჩივენ.

მ ს კ ლ ძ

მ რ ი ყ ა ი მ ი



ღობოლის სიმაღურს შევიცარიული სისტემა განაპირობებს. ყოველ ტურში ერთმანეთს შეხვდებიან მოჭადრაკეები, რომელთაც ქულათა თანაბარი რაოდენობა ექნებათ.

შურჯაანი

არქინიზის საშუალო სკოლის ფრენბურთელებმა თავიანთი პირველობა ვ. ი. ლეხინის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნეს. ჭებუკებში I ადგილი დაიკავეს მეათეკლასელებმა, ხოლო გოგონებში — მერვეკლასელებმა. კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ თ. ჯავახიშვილი, ნ. ხუციშვილი, ქ. ფურცელაძე, გ. ჯაჭანაშვილი და ლ. მახარაშვილი.

ჯანსაღონი

აქ გამართა ამიერკავკასიის არქინიზის სკოლების ზონალური სპარტაკიადა მაგიდის ჩოგბურთისა და ჭადრაკში. სარბულზე გამოვიდნენ ზესტაფონის,

მ. ოღიშვილი.

ზუგდიდი

შაშში „კოლმეურნის“ რაიონის სპორტბუდელოზრ პირველობაში 21 კოლექტივი (თითოეულში 2 ვაჟი და 1 ქალი) მონაწილეობდა. უმაღლესის

ა. განუზრავა.



ალმა-ათა. მედელს მალაღმთიან საციგურაოზე სპრინტერულ მრავალჭიდეში სსრ კავშირის I ჩემპიონატიმ ქვეუნი 44 საუკეთესო სპორტსმენი მონაწილეობდა. მოციგურავეებმა ოთხჯერ გააუმჯობესეს მსოფლიო რეკორდები, ორჯერ — საკავშირო და დაახლოებით ათჯერ — რესპუბლიკური.



სურათებზე: სპრინტერულ მრავალჭიდეში გამარჯვებულნი მარცხნიდან — ტ. სიდოროვა (II ადგილი), ნ. სტატკევიჩი (I ადგილი) და ვ. კრასნოვა (III ადგილი); ვ. გულიაიევი (II ადგილი), ვ. შურატოვი (I ადგილი) და ვ. ტროიცი (III ადგილი) საპატიო კვირცხლებზე. ფოტო ს. მეტელიცაის (საქდესი).